

ახალი თაობა



akhali.taoba.ge

ვის აკუთვნის „სანსაზ შოვი“ და როგორი იყო სტიქიამდელი შოვის კურორტის განვითარების 130 ვლნ-იანი გეგმა



ორშაბათი, 7 აგვისტო, 2023

№153 (9189)

ფასი: 80 თეთრი


„შოვი ისეთი სტიქია მოხდა, 20 წუთში თუ არ გიშველას, კვლავი“

„როდესაც ვცხოვრობთ კავკასიაში, როდესაც ვცხოვრობთ საქართველოში, ვცხოვრობთ ამ ორ მათა სისტემაში, კავკასიონი და მცირე კავკასიონი, ყოველთვის, ყოველდღე რაღაცა საფრთხეა“



გვ.3

თაა გოლოლაძე:
„შოვი მშენებლობა არ შეიძლებოდა. 60 წლის წინაც შეცდომაა დაშვებული!“



გვ.2

„სამი დღე წყალი შეწყდა მდინარეში და გაუგებარია, ანა რატომ არავინ მიაქცია ყურადღება?!“

მამუკა გამყრელიძე: „რაჭაში ხის მოჭრა საერთოდ აკრძალული უნდა იყოს“

„გენერის პროგნოზირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია“

გიორგი გაჩეჩილაძე: „გაეროს მონაცემებით, წლევანდელი ზაფხული არის ყველაზე ცხელი ზაფხული მსოფლიოში, ანუ კლიმატური ცვლილებების პროცესი დაჩქარებულია, ცხადია, საქართველოშიც იზრდება ინტენსიური ნალექების, წვიმების რაოდენობა“



გვ.2



გვ.4

„ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ლოკაციაზე მიმდინარეობს მუნიციპალური ინტენსიური დროება“



გვ.3

„ამერიკასა და რუსეთს შორის ყოველთვის სავაჭრო საბანი ვიყავით“

ზაალ ანჯაფარიძე: „პოლიტიკას, რასაც საქართველო აწარმოებს, მე არა პრაგმატულ, არამედ უფრო სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკას ვუწოდებ“



5 „გუნებრივი ექსტრემალური მოვლენების რისხვი გაიზარდა, რადგან კლიმატის სვლილების გაქანებული ფაზაა“

5 კლინიკას მდინარეში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შეამოწმებენ

7 ახალგაზრდა კალსანთა მხრა ეპროკული ოქრო

6 რატომ დააპატიმრეს სუროვიჩინი და გირკინი?

ვის აკუთვნის „სანსეტ შოვი“ და როგორი იყო სტიქიამდე მთავარი კურორტის განვითარების 130 მლნ-იანი გეგმა

სასტუმრო „სანსეტ შოვი“, რომელიც 3 აგვისტოს სტიქიის ზონად იქცა, შპს froferTI management-ის საკუთრებაა.


კომპანია 2012 წელს დარეგისტრირდა. წილის 100%-ს კი, საქართველოს მოქალაქე, ირაკლი ქაფიანიძე ფლობს.

სასტუმრო „სანსეტ შოვი“, რომელიც ზღვის დონიდან 1.600 მეტრზე, თბილისიდან 265 კმ-ში მდებარეობს, პირველი ევროსტანდარტების შესაფერისი სასტუმროა, რომელიც სტუმრებს 2013 წლის ივნისიდან მასპინძლობდა. სასტუმროში 30 ნომერი და 2 კოტეჯია.

ალსანიშნავია, რომ ფასეული უძრავი ქონების განვითარების კომპანია „სიმეტრიას“ თაოსნობით, 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს კურორტ შოვის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებისთვის აუცილებელი სამუშაოები.

რეგიონში უპრეცედენტო მასშტაბის განვითარების პროექტის ძირითადი პარტნიორები იყვნენ სასტუმრო „სანსეტ შოვი“, სასტუმრო G&M Shovi-Racha Resorts და პანსიონატი მაიმოსონი, რომლებიც კურორტის ისტორიული ტერიტორიის ძირითად ნაწილს ფლობენ.

ცხადია, უცნობია, სტიქიის შემდეგ როგორი იქნება კურორტის განვითარების პერსპექტივა. დღეს არსებული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად კი, კურორტზე დაგეგმილი იყო 5*, 4* და 3* სასტუმროების, კოტეჯების, სპორტული, გასართობი და ბალნეოლოგიურ-რეკრეაციული დანიშნულების ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც კურორტს ოთხივე სეზონზე მოსახლურულად და დასასვენებლად ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ადგილად აქცევდა. წარმოდგენილი გეგმით განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციის მოცულობა 130 მილიონ დოლარს აჭარბებს.



„ბუნებრივი ექსტრემალური მოვლენების რისკი გაიზარდა, რადგან კლიმატის ცვლილების გაქანებული ფაზაა – პრევენციის მცირე რგოლებიც კი არ არსებობს, ყოველ წელს გვაქვს ტრაგედია“ – ასე ეხმაურება „მწვანე ალტერნატივას“ დამფუძნებელი მანანა ქორჩიაძე „ფიი-ბუქის“ პირად გვერდზე შოვის სტიქიას.

მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ: – ბუნებრივი ექსტრემალური მოვლენების რისკი მარტო გაიზარდა, იმიტომ, რომ კლიმატის ცვლილების გაქანებული ფაზაა. საქართველოს 70% ისედაც მონყვლადი იყო გეოლოგიურად. ე. ი. გაქვს პრობლემა. ამ დროს რა ხდება, მთავრობა აკეთებს ფულს და თვლის, რომ შეუძლია მენყვრების, ღვარცოფების და ა.შ. შეჩერება – იგნორირებით, არ ხდება 24 საათიანი მონიტორინგი მონყვლად რეგიონებში, შესაბამისი

გეგმების მომზადება და ინფრასტრუქტურის შექმნა (მარტო ვერტმფრენი არაა საკმარისი, მავლებლის აღჭურვა, ტრენინგი, გადანაწილება რეგიონებში, მოსახლეობის პრევენციული დახმ. სამაშველო ჯგუფების შექმნა და ა.შ. და ა.შ.) მოსახლეობის გადაყვანა საშიში ადგილებიდან, სადაც არ შეიძლება ცხოვრება, იქ არ უნდა იცხოვრო, და სახელმწიფომ ამ შემთხვევაში ძალა უნდა გამოიყენოს და აცხადოს. არ არსებობს პრევენციის მცირე რგოლებიც კი, ყოველ წელს გვაქვს ტრაგედია, რომლის შემსუბუქება ისევე ადამიანების ინდივიდუალური გამირობის ხარჯზე ხდება. პ.ს. ხვალ ეს ტრაგედია ბევრს დაავინყვება, მიზეზებზე ახლა ნუ ლაპარაკობთ, ხვალ გვეტყვი, რა დროს ეგაა ეკონომიკაა ასაკვავებელი, პოდა, ვართ ასე გოდოს მოლოდინში, ტრაგედიიდან ტრაგედიამდე, – წერს ქორჩიაძე.



რა ღირს ნედლი თხილი ბაზარზე

თხილის მოსავლის მიღების აქტიური პროცესი მთელს საქართველოში 5-10 აგვისტოდან დაიწყება. მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 50.000 ტონას აჭარბებს, რაც გასული წლის მოსავალზე 30%-ით მეტია – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ თხილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიორგი თოდუამ განაცხადა.

მისი თქმით, გაზრდილია ხარისხი და ფასიც. – ბოლო მონაცემით, ნედლი თხილის ფასი 3 ლარია, რაც ნიშნავს, რომ მშრალი თხილის ფასი 4 ლარია. რაც შეეხება ხარისხს, ამის ბოლომდე შეფასებისთვის პროცესი აქტიურ ფაზაში უნდა იყოს, რაც სულ რამდენიმე დღეში მოხდება. თუმცა, წინასწარი შეფასებით, ხარისხი გასულ წელზე ბევრად უკეთესია. ფასსაც ეს განაპირობებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 1 კგ ნედლი თხილი 1.5-2 ლარი ღირდა, – განაცხადა თოდუამ.

მისივე თქმით, სახელმწიფოს მხრიდან თხილის კადასტრის შექმნა და სუბსიდირების პროგრამამ ფერმერებს მისცა საშუალება, წამლობის პროცესს სრულად განეხორციელებინათ.

– მოგეხსენებათ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყო 20 მლნ ლარი დამატებით თხილის სექტორისთვის. აქედან ფერმერები 1 ჰა-ზე 500 ლარს იღებდნენ აგროვაუჩერის სახით. ეს რადიკალურად კარგი ცვლილებების საფუძველი გახდა. წელს, მოსა-

ვალი, სავარაუდოდ, გასცდება 50.000 ტონას, რაც გასულ წელზე 30%-ით მეტია. აქ მხოლოდ რაოდენობაზე არ არის საუბარი. გასულ წელს ხარისხიც არ იყო მისაღები და ამაზე ასოციაცია მუდმივად საუბრობდა.

წამლობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის დროულ აღებასა და შრომის სწორ პროცესს. შემდეგ კი, სტანდარტის მიხედვით დასაწყობებას. ვხედავთ, რომ ფერმერებმა, რომლებმაც ყველა წამლობა ჩაატარეს და სრულად იცავენ წესებს, მიიღეს პრემიუმ ხარისხის თხილი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული და გამოცდილება სხვა ფერმერებისთვისაც. ცხადია, პრემიუმ ხარისხი უფრო ძვირი ღირს 1-2 ლარითაც კი. განწყობა და მოლოდინი ახლა პოზიტიურია.

შედეგები სახელმწიფომ და ფერმერებმა ერთად მიიღეს. ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ფაროსანასთან ბრძოლის ფარგლებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მიწა მოეწოდო ფერმერებს, რომ მოსავლის აღებამდე რამდენიმე დღით ადრე განახორციელონ წამლობები, სანამ სრულ მსხმოიარობაში მივიღებთ პროდუქციას, ეს გაზრდის მათ პროდუქციის ხარისხს, – განაცხადა გიორგი თოდუამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

შეგახსენებთ, 2022/23 სეზონურ წელს თხილის გლობალურ მწარმოებლებს შორის საქართველო მე-5 ადგილზეა.

კლინიკას ფილიალი გახსნა საფორმაციო ინფორმაციის საფუძველზე

1-ელი აგვისტოდან კლინიკების და ფარმაცევტული კომპანიების შემომხმების გამკაცრებული წესები შევიდა ძალაში.

ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ახალი კანონმდებლობით, რეგულირების სააგენტოს, პაციენტის საჩივარზე დაუყოვნებელი რეაგირების შესაძლებლობა ექნება. კერძოდ, საჩივრების დაფიქსირებისთანავე, რეგულირების სააგენტოს უფლება ექნება გაუფრთხილებლად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს სამედიცინო დაწესებულებაში თუ ფარმაცევტულ საბითუმო სადისტრიბუციო და მწარმოებელ კომპანიებში, თუმცა ამის შესახებ პარალელურ რეჟიმში სასამართლოს უნდა აცნობოს.

მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილებები და ასევე ის, თუ რა შეიძლება გახდეს ახალი კანონმდებლობით მონიტორინგის საფუძველი.

კერძოდ, დადგენილების თანახმად, სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით კონტროლის განხორციელების საფუძველი „სამწარმოო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით შეიძლება, იყოს:

- პაციენტის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი საჩივარი;
- ორსულის, ახალნაშობიარები ქალის ან/და ახალშობილის ან ბავშვის გარდაცვალება;
- ადმინისტრაციული ორგანოს მიმართვა;
- პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე გართულება ან მისი მოულოდნელი გარდაცვალება, რაც ცნობილ იქნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.



ზუგდიდში დაღ-შვილს მანქანა დაეჯახა

ზუგდიდში ავტომობილი ზებრაზე ქვეითად გადამსვლილ დედა-შვილს დაეჯახა.

თვითმხილველების ცნობით, ავტომობილი ბორდიურზე ავიდა.

ამავე ცნობით, ორივე დაშავებულმა სხვადასხვა დაზიანება მიიღო.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ევექსში ორივე მათგანი გონზე მყოფი გადაიყვანა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ბრიგადა და პოლიცია იმყოფება.



პროკურატურამ „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე დაჭრის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვის და ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 3 აგვისტოს, თბილისში, შპს „ლილო მოლი“-ს ტერიტორიაზე, ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაზარალებულს თავის არეში დაზიანება მიიყენა, რომელიც საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ქირურგიული ოპერაცია ჩატარდა.



სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

საერთაშორისო

ნიკა ჩერქეზიშვილი: „ხომ უნდა ენაშაო ალაიანი მთელი ცხოვრება?“

პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი შოვიში მენყრის ჩამონოლას და ადამიანების დაღუპვას ეხმაურება:

– მარტივად ვიტყვი, რადგან რასაც ახლა ვიტყვი, იმდენად ელემენტარული აზროვნების უნარი და მცირედი ადამიანობა სჭირდება, რომ ვინმემ თუ ეს ვერ (ან არ) გაიგო, აზრი არ აქვს მასთან საუბარს.

მოკლედ, ვის რა პგონია გლოვა, არ ვიცი.

ჩემთვის გლოვა ის არის, როცა თავს იმ ადამიანის ადგილზე წარმოვიდგენ, ვინც გაუბედურდა.

ამ შემთხვევაში, ვისაც დაეღუპა ან დაკარგული ჰყავს ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი.

თუ ამას ნამდვილად განიცდი, ავტომატურად იწყებ ფიქრს იმაზე, შენთვის რა იქნებოდა ამ წამს ყველაზე მნიშვნელოვანი.

აი, ჩემთვის, ახლა, უმთავრესი იქნებოდა, ცოცხალი თუ გარდაცვლილი ეპოვათ ჩემი ოჯახის წევრი.

კი ბატონო, იყავით ჩუმად და იგლოვით, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რომ დახმარებას არ სთხოვს მეზობელ ქვეყნებს, თუნდაც თურქეთს, რომელიც ათჯერ და ასჯერ წინ არის სამაშველო სისტემებით საქართველოზე და სულ ახლახან ძალიან ტრაგიკული და საბედისწერო გამოცდილება მიიღო უშიშრესი მინისტრების გამო, არ უნდა ვითხოვდეთ, შეცვალონ ეს ყოველად გაუგებარი გადაწყვეტილება?

მე მაქვს ჩემი ახსნა, რატომაც არ ითხოვენ, ან რატომაც არ უშევენ ადგილზე პროფესიონალ ჟურნალისტებს და დარწმუნებული ვარ, ბევრს აქვს მსგავსი მოსაზრებები, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

რომ ვერ იპოვონ რომელიმე დეკარტული, ამის გამო ჭირისუფალს ხომ მთელი ცხოვრება უნდა ტანჯავდეს ფიქრი, იქნებ თურქეთი რომ დაგვხმარებოდა, ეპოვათო.

ხომ უნდა ენაშაოს ადამიანი მთელი ცხოვრება?

რად უნდა იმას არგუმენტირება, რომ რაც უფრო მეტი სამაშველო ჯგუფია, რაც უფრო მეტი ტექნიკაა, მით უფრო სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობს სამაშველო ოპერაციები.

ასე რომ, აქ და ახლა, ითხოვდეთ იმას, რაც შენი აზრით, აუცილებლად გასაკეთებელია, არის სწორედ გულთან ყველაზე მეტად მიტანილი სატკივარი დაზარალებული ადამიანებისა. იმ გოგონაზე მეტად გლოვობს ვინმე, მარიტა გუტაშვილზე, რომ დადის და ყველას სთხოვს დახმარებას,

აპოვნინონ ოჯახის წევრები? პირის ამოკერვით და ხმის არ ამოღებით დაეხმარებით? არა მგონია!

რაში სჭირდება თქვენი დუმილი?

თან ეგ დუმილი დუმილადვე რომ დარჩება ხვალაც, ზეგაც და ერთი წლის შემდეგაც.

თავიდანვე უნდა ეთხოვათ დახმარება მეზობელი ქვეყნებისთვის, ყველასთვის!

თურქეთისთვის განსაკუთრებით!

ღმერთმა არ ქნას, რომ ვერ იპოვონ დაკარგულები!

ჯვარი სწერია ყველას! ვინ არის პასუხისმგებელი? სხვაგანაც იკარგებიან და ვერ პოულობენო, თუ მსგავსი რამ თქვა, ან დაწერა ვინმემ, აქედანვე ვეტყვი, რომ



უკანასკნელი ნაძირალა! ყველაფერი უნდა სცადო, აბსოლუტურად ყველაფერი, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენო, რაც არსებობს და არ არსებობს, რომ უშველო ადამიანებს, ცოცხლებსაც და გარდაცვლებსაც! მთაშადა ეკა არემაშვილმა



აშშ დოლარი - 2.6117
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი - 3.3171



ვერო - 2.8590
100 რუსული რუბლი - 2.7580

ქართული ლარის ვივარტო უხსოვარი ვალუტების გახვლითი კურსი



მასი ინტერ მიაიშივი ბაღნიარია



ლიონელ მესიმ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ის ინტერ მიაიშივი ძალიან ბედნიერია და სურს, რომ ამ გუნდში მინიმუმ რამდენიმე წელიწადი ითამაშოს. მესიმ ხაზი გაუსვა, მას უნდა, რომ მიაიშივთან ერთად ტიტულები მოიგოს და გუნდს ამის შანსი აქვს. ლეონ მიაიშივი შემაღგენლობაში 3 შეხვედრა ჩაატარა და უკვე 5 გოლის გატანა მოახერხა. მის ანგარიშზე ასევე ერთი საგოლე პასია.

გაბაე უახლოეს მომავალში რეალის ფანბურთული გახდება

ასუს-ს ან უკვე ყოფილი ფეხბურთელი კილიან მბაპე, სულ მალე ოფიციალურად რეალის ფეხბურთელი გახდება. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ესპანურ მედიასში. თვითონ ფეხბურთელმაც რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მისთვის რეალი საინტერესო პროექტია და მას ახალი გამოწვევები სჭირდება. ტრანსფერი აგვისტოს შუა რიცხვებში უნდა გახდეს ოფიციალური.



გიორგი ჩაქვაბაძის უოტფორდში კარგი დებიუტი უკონდა



უოტფორდის ქართველ ახალწვეულს გიორგი ჩაქვაბაძეს დებიუტი უკონდა და ის ქუინს პარკ რეინჯერსთან შეხველაზე 66-ე წუთზე შევიდა. გიორგის ძალიან კარგი შეხვედრა უკონდა და მან 15 ზუსტი პასი გააკეთა და ორჯერ ძალიან სახიფათოდ დაარტყა კარში. ჩაქვაბაძის კარგი თამაში არც უოტფორდის მწვერულს დარჩენია შეუმჩნეველი და მან გიორგის განსაკუთრებული ფეხბურთელი უნოდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნაბა ლომოური: „მეწერება მწერალთა სახლის ღირაქტორების ვადა“



მწერლების მუზეუმებით, რომლებმაც მწერალთა სახლი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად აქცია; თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის, რომელმაც უამრავი, საქართველოსა და ქართულ ლიტერატურაზე შეყვარებული ადამიანი შეგვიძინა სხვადასხვა ქვეყანაში; მიყვარს და ვგულშემატივრობ ყველა იმ პროექტს - ლიტერატურულ პრემიას, მწერალთა რეზიდენციას, მთარგმნელობით პროგრამებს, საქართველოს ეროვნულ სტენდებს საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, მთარგმნელობით სემინარებსა და უამრავ საგანმანათლებლო ლექციას - რომლებსაც დიდი სიყვარულით და ერთგულებით ვაკეთებდი.

პ.ს. ვინც თვალს გვაღვევებდით და გვპულშემატივრობდით, ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ეს ყველაფერი კეთდებოდა მუდმივი დაძაბულობის ფონზე - არ მასხენდებ პერიოდი, როდესაც წყნარად, შევიწროვებისა და ფინანსური პრობლემების გარეშე გვეკეთებინა ჩვენი საქმე! უკვე მივმართე კულტურის მინისტრს წერილით, სადაც ვაცნობე, რომ დაინტერესებული ვარ ვადის გაგრძელებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნუმოხი

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
- ჩემს მეზობელს რომ ვუყურებ, ერთი კითხვა მიჩნდება: ასეთი სულელი დაიბადა თუ რაიმე დამატებითი კურსები გაიარა?

...
ცოლი ქმარს დიდხანს ელოდა, ბოლოს დაწვა და დაიძინა. გვიან ღამით ხმაურმა გამოაღვიძა. სამზარეულოში შეიხედა და ხედავს, ქმარი საწინააღმდეგარად დგას, მაცივრის კარი გამოღებული აქვს და კითხულობს:

- უფროსო, სამ ლარად სახლამდე მიმიყვან?
ცოლი დამშვიდდა, საძინებელში დაბრუნდა და დაიძინა. დილით სამზარეულოში შევიდა და ხედავს, ალარც ქმარია და ალარც მაცივარი.
- კმ, მაინც დაიყოლია, - ჩაილაპარაკა ქალმა.

...
ერთი ქალი მეორეს შესჩივის:
- დეპრესიაში ვარ.
- რატომ?
- მსუქანი და მარტოხელა ვარ!
- რა მსუქანი? სად? აბა მანახე.
- იქნებ ისიც გაჩვენო, სად ვარ მარტოხელა?

...
რუსეთი. მეფეს ქვეშევრდომი მოახსენებს:
- ურჩხულს მოვივდა მეფე!
- რას ჭამს?
- მხოლოდ უბინო ქალწულებს.
- საცოდავი, შიმშილით მოკვდება...
...
საბავშვო ბაღში ერთი ბავშვი ამბობს:
- მამაჩემს ძალიან მაგარი, ბოლო მოდელის აიფონი აქვს.
- მამაჩემს კი ბოლო მოდელის ლექსუსი ჰყავს, - ამბობს მეორე ბავშვი.
- მამაჩემს კი სარდაფში დიდი ვირთხა ჰყავს!
- არ არსებობს!.. გვაჩვენებ?

...
ორი ჩუქმა მოკლულ ზღვის ლომს კუდი მიათრევს, მაგრამ ეშვები ლოდებს ედება და ძლივს მიათრევს. ამ დროს გეოლოგი გამოივლის და ეუბნებათ:
- ხელი ეშვებში ჩაავლეთ და ისე გაათრეთ, გაცილებით ადვილი იქნება.
დაუჯერეს, ეშვებით მიათრევს ზღვის ლომს და ერთი მეორეს ეუბნება:
- გეოლოგი ჭკვიანია, ასე უფრო ადვილია.
- უტვინოა შენი გეოლოგი! ხედავ, ისევე ზღვასთან მოვედით!..

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ქაქალია: „გლოვას ვერავის დააქალაქა“

აქხადებს მწერალი და პოეტი გიორგი ქაქალია:
- გლოვას ვერავის დააქალაქა, ჭარბი მორალიზმი ხომ მძაგს და მძაგს - ადამიანი უცნაური არსებაა - მეც და შენც, შესაძლოა, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი სხვაგან გაგვექცეს და გაგვექციოს ფიქრმა - ამიტომაც მძულს ბრძნული მიმართებლობა, მაგრამ მაშინ, როცა შენს ქვეყანაში ტალახიდან გარდაცვლილი ბავშვები ამოჰყავთ, ისტერიული კურორტული პოზირება და მყვირალა ქეიფების გასაჯაროება, არ მგონია საუკეთესო მაგალითი. შეიძლება ძველმოდურია ჩემი ეს შენიშვნა, მაგრამ მე მაინც ამ მოდის კაცად დარჩენა მირჩევნია.



მომღერალთა დაბავშილი კონსერტები გააუქმეს


რაჭაში მენყრის ჩამონოლის შედეგად გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად მომღერლებმა დაგეგმილი კონცერტები გააუქმეს.
უახლოეს დღეებში მსმენელისთვის უნდა ემღერათ ლელა წურწუმიას, ნატო გელაშვილსა და მის ბიჭებს ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეებს, ლექს-სენს, დუეტ ჯორჯიას, დათო არჩვაძეს...
ლენტესში კლასიკური კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, რომელიც ასევე გაუქმდა.

„ჩემი სოლის დაქალაქი“ ეთერიან მოიხსნა

„ფორმულა კრეატივის“ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალაქი“ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში არ გავიდა. ამის მიზეზი რაჭაში დატრიალებული ტრაგედიაა:
- რაჭაში, შოვეში, მენყერმა ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. ვიზარებთ დაღუპულების ოჯახის წევრების და ახლობლების ტკივილს. ამ დროისთვის, კიდევ 35 ადამიანი ითვლება დაკარგულად და მათ მშველელი ეძებენ. „ჩემი ცოლის დაქალაქის“ გუნდს გვინდა, სოლიდარობა გამოვუცხადოთ დაქალაქისთვის და თქვენთან ერთად გვაქვს იმედი, რომ ყველა მათგანს უვნებლად ვიპოვით.
როდის გავა სერიები, ამის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას მოგვიანებით შეგატყობინებთ, - ნათქვამია „ჩემი ცოლის დაქალაქის“ შემოქმედებითი გუნდის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

გოგა ჩანადირი: „არ დაჰკარგოთ ადამიანის სახე“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი რაჭაში მენყრის ჩამონოლას და ადამიანების გარდაცვალებას ეხმაურება:
- არავინ ვიცით, ხვალ რა დღე გავითენდება. შეიძლება, დასახვეწებლად წახვიდე და უბედურებად გექცეს.
ტრაგედია ან ახლობლის გარდაცვალება ხშირად გაფიქრებინებს, რომ არავითარი აზრი არ აქვს გადამეტებულ შემგროვებლობას, მიმტაცებლობას, ტყუილს, საკუთარი თავის ყველაზე წინ დაყენებას. კაბინეტ-სავარძელსაც არ აქვს ფასი და ტყუილად იკლავენ თავს ამისთვის.
ეს ყველაფერი ამაოა. იქ არავის არაფერი მიაქვს.
ეს ცხოვრება მართლა წუთია.
ოღონდ, მის მიმართ ჩვენეული, უფრო პირადული გაგება გვაქვს. გვინდა, რომ ყველაფერი მოვასწროთ. ლამის, ამ წუთსაც ვავასწროთ. არადა, ეს წუთი არა მოსასწრებად, არამედ ღირსეულად ცხოვრებისთვის არის ჩართული.
არავინ ვიცით, ხვალ როგორი დღე გავითენდება. ამიტომ, ვიცხოვროთ ისე, რომ სანანებელ-გასაბრაზებელი არ გექონდეს. უბრალოდ, არ დაგვარგოთ ადამიანის სახე.



ირმა სოხაძის რაჭის დასახმარებლად მარათონის გამართვა სურს

მომღერალ ირმა სოხაძეს რაჭის დასახმარებლად მარათონის გამართვა სურს:
- დაღუპებული და დამუნჯებული ვარ. მაგრამ გამახსენდა უმძიმესი 90-იანები, გაჭირვებით და სიმძიმეებით სავსე. და ყოველწლიური ტელემარათონები, რომლებსაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვმართავდი და შემოსული თანხით მიზნობრივად ვხმარებოდი ადამიანებს. 8 მარათონი გავმართეთ, ვფიქრობ, მე-9 მარათონის დროს, სასწრაფოდ, ჩემი რაჭის, ამ მართლა საოცარი კუთხის დასახმარებლად. დღეს ყველა, ვისაც რით შეგვიძლია, მხარში უნდა ამოვუდგეთ ამ ჯოჯოხეთად ქცეულ სამოთხეს.



კხოსვოხი ა

შეუღლად: 1. ამერიკული ჯიპი; 2. იაპონური ქოშები; 3. სამედიკატორო სასამართლო; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებიდან ამზადებენ წითელ საღებავს; 5. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 6. უღელტეხილი კავკასიონზე; 7. უბანი ქუთაისში; 8. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი; 9. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 10. უძრავი ქონების დაქირავება.
თარაზულად: 1. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ტუნისი, წუნურაქი ადამიანი; 3. მიმდროებითი, გულუბრყვილო ადამიანი; 4. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 5. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 6. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კომუნისტების ბელადი; 9. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 11. შესანახად გამზარ-გამომშრალი ბატის ხორცი; 12. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

